ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | შემოდგომა 2024
U5 (III, IV, V კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
იქსი ამჟამად **საშუალო** სიდიდის **ვარსკვლავია**, თუმცა დროის გასვლასთან ერთად, ის უფრო **დიდი** და უფრო **ცხელი** გახდება. ერთ ვიდეოში, პერსონაჟი იკეთებს **სათვალეს** მანამ, სანამ **იქსს შეხედავს**. **მოკლე სიტყვით** დაწერეთ იქსი.

პასუხი: მზე
კომენტარი: მზე ვარსკვლავია, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება და უფრო ცხელი იქნება ვიდრე ახლაა. მზისთვის დაუცველი თვალებით შეხედვა ძალიან სახიფათოა, ამიტომ პერსონაჟი იკეთებს მზის სათვალეს.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
საინტერესოა, რომ **ძაღლებში**, **იქსის ანაბეჭდი** ისეთივე **უნიკალურია**, როგორც **ადამიანებში თითის ანაბეჭდი**. ცნობილ **პერსონაჟს** მულტფილმის **სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სიგრძის იქსი** აქვს, იმის მიხედვით თუ **რას ლაპარაკობს**. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: ცხვირი
კომენტარი: ძაღლების ცხვირის ანაბეჭდი ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ადამიანებში თითის ანაბეჭდი. პინოქიოს ცხვირის ზომა იცვლება იმის მიხედვით, თუ რას ამბობს: თუ პინოქიო მოიტყუება, მისი ცხვირიც გაიზრდება.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ლონდონის იქსი მსოფლიოში **უძველესია**. შესაბამისად, **ლოგიკურია მითები** იმის შესახებ, თითქოს იქ **მოჩვენება-მატარებლებსაც** ვხვდებით. **საქართველოში**, **იქსი** მხოლოდ **თბილისშია**, რაც ქალაქის **სიდიდითაა** განპირობებული. დაასახელეთ იქსი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: მეტრო
კომენტარი: ლონდონის მეტრო ჯერ კიდევ 1863 წელს გაიხსნა და ლოგიკურია მის გარშემო წარმოქმნილი მითები და ლეგენდებიც. მეტროს ძირითადი მიზანი დიდ ქალაქში სწრაფი გადაადგილებაა, რაც ქალაქ თბილისში აუცილებლობას წარმოადგენს.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
გარდა კისრისა, **იქსებს** ერთ-ერთი ყველაზე **გრძელი** და **ძლიერი ენაც** აქვთ, რომლითაც **ნივთების გადაადგილებაც** კი შეუძლიათ. იქსი არის **ქართული ანიმაციური სერიალის მთავარი პერსონაჟიც**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ჟირაფი

კომენტარი: ჟირაფები უმეტესწილად გრძელი კისრის გამო არიან ცნობილი, თუმცა მათ ასევე ძალიან დიდი, დაახლოებით ნახევარი მეტრი სიგრძის ენაც აქვთ. მეორე ნაწილში საუბარი იყო ჟირაფ ჟოზეზე.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
იქსი, როგორც წესი, **მრგვალი** ფორმისაა, თუმცა არსებობს **მწვანე** იქსიც, რომელიც **მოგრძო** და **თხელია**. ერთ წიგნში, ცნობილ **იქს პერსონაჟზე** წერია, რომ მის ოჯახში **ბევრი ცრემლი** იყო, რაც **ლოგიკურია**. არ გთხოვთ იქსით შეცვლილი **ბოსტნეულის** დაწერას. დაწერეთ ამ ცნობილი **პერსონაჟის სახელი**.

პასუხი: ჩიპოლინო
კომენტარი: მრგვალი ხახვის გარდა, არსებობს მწვანე ხახვიც, რომელიც გრძელია. წიგნში "ჩიპოლინოს თავგადასავალი" ნათქვამია, რომ ხახვების ოჯახში ბევრი ცრემლი და მწუხარება იყო, რაც ლოგიკურია, რადგან ხახვის დაჭრისას უნებურად ცრემლი წამოგვივა ხოლმე თვალებიდან.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
მიუხედავად იმისა, რომ **ინგლისური 50-მდე ქვეყნის ოფიციალური ენაა,** მსოფლიოს ყველაზე **გავრცელებული მშობლიური ენა** მაინც **მანდარინია**. **რომელი ქვეყნის ოფიციალური ენაა მანდარინი**?

პასუხი: ჩინეთი
ჩათვლა: ტაივანი
კომენტარი: ინგლისურ ენაზე არაერთ ქვეყანაში საუბრობენ და ის 50-მდე ქვეყნის ოფიციალური ენაცაა. თუმცა, გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე მეტი მშობლიური მოსაუბრე სწორედ იმ ქვეყნის ენას ჰყავს, სადაც ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. სწორი პასუხია ჩინეთი.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
არსებობს ორი ვერსია, თუ რატომ დაარქვეს **დისნეის** ცნობილ **პრინცესას უცნაური სახელი**. პირველი მიზეზი ისაა, რომ პრინცესა **ზამთარში დაიბადა**, მეორე მიზეზის მიხედვით კი მამამისს სურდა, პრინცესას **იქსივით სუფთა გული** ჰქონოდა. იქსს ხანდახან იყენებენ **სპეციალური ნაყინის დასამზადებლად**. **არ** გთხოვთ დისნეის ამ პრინცესას დასახელებას. დაწერეთ იქსით შეცვლილი **სიტყვა**.

პასუხი: თოვლი
კომენტარი: ორი ვერსია არსებობს, თუ რატომ დაერქვა დისნეის ანიმაციაში პრინცესას სახელი ფიფქია. ერთი მიზეზი ისაა, რომ ზამთარში დაიბადა, ზამთარი კი თოვლთან და სიცივესთან ასოცირდება. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მამამისს სურდა, მას თოვლივით სუფთა გული ჰქონოდა. მთელი რიგი თვისებებით, თოვლი ნამდვილად წააგავს ნაყინს.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

მცხეთაში მდებარე **იქსის მონასტრის** ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული **მირიან მეფესთან**. იქსები გვხვდება **არაერთი ქვეყნის**, მათ შორის **საქართველოს დროშაზეც**. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: ჯვარი
კომენტარი: მირიან მეფეს უკავშირდება საქართველოს გაქრისტიანება. იმ ადგილას, სადაც ახლა ჯვრის მონასტერია, მან აღმართა ხის ჯვარი. საქართველოს დროშაზე ხუთი ჯვარია გამოსახული.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
დარიგებულ მასალაზე ხედავთ **იქსის კრეატიულ პოსტერს**. 2020 წელს **სპორტსმენმა კრიშტიანუ რონალდუმ** მაგიდიდან **მოაშორა იქსის ბოთლი** და ყველას მოუწოდა **წყლის დალევისკენ**. დაასახელეთ ცნობილი **კომპანია**, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: კოკა-კოლა
კომენტარი: რონალდუმ ყურადღება გაამახვილა გაზიანი სასმელების მავნებლობაზე და ყველას მოუწოდა, იცხოვრონ ჯანსაღად და დალიონ წყალი. პოსტერზე გამოსახული თეთრ-წითელი ფერები და ხელიდან ხელში გადაწოდებული ბოთლი სწორედ კოკა-კოლას სიმბოლიკას მოგვაგონებს.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ამ **ფეხბურთელს**, თავისი **სიმაღლის** გამო, მეტსახელად ეძახიან **რწყილს**. **2022 წელს** მიღწეული **უდიდესი წარმატების** შემდეგ, **არგენტინის** ეროვნულ **ბანკს** სურდა ეს ფეხბურთელი **ფულის კუპიურაზე** გამოესახა. დაასახელეთ ეს ცნობილი ფეხბურთელი.

პასუხი: ლეო მესი
კომენტარი: ამ ლეგენდარული ფეხბურთელის სიმაღლეა 170 სანტიმეტრი, რაც ფეხბურთისთვის საკმაოდ დაბალია. 2022 წელს მესიმ არგენტინასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, რის გამოც მისი გამოსახვა 1000 პესოს ღირებულების კუპიურაზე სურდათ.

11. 6-ქულიანი შეკითხვა

წიგნში “**ჩიპოლინოს თავგადასავალი**”, პრინც **ლიმონს**, პირველი გამოჩენისას მთლიანად **ასეთი ტანსაცმელი აცვია**. **პოპულარულ თამაშში**, **ორი ასეთის** მიღების შემთხვევაში **თამაშიდან გაგაგდებენ**. დაწერეთ “**ასეთით**” შეცვლილი **სიტყვა**.

პასუხი: ყვითელი
კომენტარი: ლიმონი ყვითელი ციტრუსია, შესაბამისად ლოგიკურია, რომ პრინცი ლიმონი მთლიანად ყვითელ სამოსშია გამოწყობილი. ფეხბურთის წესების თანახმად, ორი ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ, მოთამაშე თამაშს ვეღარ აგრძელებს.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
აფრიკის დაპყრობის მსურველმა **ევროპელებმა ვერ შეძლეს ცხენების გამოყენება**, რადგან ცხენები **მარტივად ავადდებოდნენ**. სამაგიეროდ, **კარგი ვარიანტი** იყო **იქსი**, რომელიც მიჩვეული იყო **ადგილობრივ კლიმატს** და ავადმყოფობაც არ აწუხებდა. დიდხნიანი **დავის შემდეგ** საბოლოოდ დადგინდა, რომ იქსები არიან **შავები**. დაწერეთ იქსით შეცვლილი **ცხოველი**.

პასუხი: ზებრა
კომენტარი: ზებრა ძალიან ჰგავს ცხენს და აფრიკულ კლიმატსაც მიჩვეული იყო. ზებრა შავ-თეთრად გამოიყურება, თუმცა სინამდვილეში მათი კანი შავია, თეთრი ნაწილი კი მხოლოდ ის ბეწვია, რომელსაც პიგმენტი აკლია.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
მსოფლიოს არაერთ **მაღალსართულიან** სასტუმროში **ვერ შეძლებთ იქს სართულზე** დარჩენას, რადგან **ცრურწმენის** გამო იქს სართული **გამოტოვებულია**. ეს **კითხვაც** არის **იქსი**. დაწერეთ **სიტყვა**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: მეცამეტე
ჩათვლა: 13
კომენტარი: არაერთ კულტურაში რიცხვი 13 მიიჩნევა უიღბლო რიცხვად, რის გამოც ზოგიერთი სასტუმროს სართულების ნუმერაციაში გამოტოვებულია მე-13 სართული. ეს შეკითხვაც იყო მე-13.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ცეცხლოვანი სარტყელი ეწოდება ტერიტორიას **წყნარი ოკეანის აუზში**, სადაც **ასობით იქსი** მდებარეობს. იქსის გააქტიურება **ჰაერში** დიდი ოდენობით **ფერფლის დაგროვებას** იწვევს, რის გამოც **თვითმფრინავის ფრენებიც** წყდება. დაასახელეთ იქსი **შვიდასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ვულკანი
კომენტარი: ვულკანებიდან ცეცხლოვანი ლავა ამოიფრქვევა ხოლმე, შესაბამისად, ვულკანებით მდიდარ ტერიტორიას ცეცხლოვანი სარტყელი ჰქვია. ვულკანის ამოფრქვევისას ცაში დიდი რაოდენობით ფერფლი და კვამლი ჩნდება, რის გამოც თვითმფრინავებისთვის ფრენა სახიფათოა.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
იქსით შეცვლილია **ერთი სიტყვა**.
ამ **ცხოველისთვის** იქსი როგორც **ცხვირის**, ისე **ხელის ფუნქციასაც** ასრულებს. ერთ **ანიმაციაში**, ეს ცხოველი **დაფრინავს დიდი ყურების** დახმარებით. დაასახელეთ ეს ცხოველი.

პასუხი: სპილო

კომენტარი: სპილოსთვის ხორთუმი ასრულებს როგორც ცხვირის, ისე ხელის ფუნქციასაც. ანიმაციაში “დამბო”, ვხვდებით სპილოს, რომელსაც ფრენა შეუძლია.